

ალასანიას დამარცხებით ოპოზიციამ გაიხარა

გაზეთი “ახალი თაობა” 1 ივნისი, № 127, 2010.

ადგილობრივი არჩევნების შემდგომ ცალსახა ხდება, რომ საქართველოში ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა ძალიან გაძნელებულია. ამაზე დღეს არა მხოლოდ პოლიტიკოსები, რიგითი მოქალაქეებიც საუბრობენ, რომლებმაც კარგად იციან, რას ნიშნავს მერაბიშვილის პირობებში არჩევნების ჩატარება.

ადგილობრივი არჩევნების პირველადი შედეგებიდან გამომდინარე უკმაყოფილებას ვერ მალავს დამოუკიდებელ ექსპერტთა ის ნაწილიც, რომელიც ფიქრობს, რომ დღეს ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პოლიტიკური ცვლილებები. უგულავას და ნაცმოძრაობის გამარჯვებით კი ქვეყანას ამ ეტაპზე სასიკეთო პერსპექტივები ესპობა.

ხელისუფლების პარალელურად კრიტიკა ისმის ოპოზიციურ ფლანგზეც, განსაკუთრებით ქრისტიან-დემოკრატების მიმართ, რომელთაც ხელისუფლების პირმშოდ მოიხსენიებენ.

ექსპერტი ლადო პაპავა არ გამორიცხავს, რომ პოლიტიკაში გადაბარებული ინგა გრიგოლია ხელისუფლებამ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედაც კი დანიშნოს.

– სულაც არ არის გამორიცხული ინგა გრიგოლია მართლაც გახადონ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, რათა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ დაანახონ, რომ მერი კი არის სახელისუფლებო პარტიიდან, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარე არის ოპოზიციიდან. ეს ვერსიაც არსებობს, – აცხადებს ექსპერტი ლადო პაპავა. მისი თქმით, ქრისტიან-დემოკრატები, სამწუხაროდ, თავიდანვე ხელისუფლების დაკვეთას ასრულებენ და ეს საზოგადოებამ კარგად იცის.

გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, რა აჩვენა რეალურად ადგილობრივმა არჩევნებმა, პოლიტიკური მოწიფულობა, როგორც პრეზიდენტმა შეაფასა თუ ზუსტად დ ის შედეგი გაფორმდა, რაც კარგა ხნის წინ ვანო მერაბიშვილმა გააცხადა?

– ის, რაც მოხდა ახალი არ არის. საპარლამენტო არჩევნებიც ხომ ასეთი უსირცხვილო შედეგით დასრულდა. რეალურად საზოგადოების შეჩვევა

ხდებოდა იმ შედეგებისადმი, რაც გაცხადდა. ჯერ იყო შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობილი გახმაურებული ინტერვიუ “კომერსანტში”. შემდეგ ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელიც რატომღაც დაემთხვა შს მინისტრის პროგნოზს. შემდეგ – ეგზიტპოლები, რომელიც ასევე რატომღაც დაემთხვა შს მინისტრის პროგნოზს. ის, რომ თავიდანვე ამომრჩეველთა რიცხოვნობა ხელოვნურად იყო გაბერილი, ეს ყველამ კარგად ვიცოდით. რა თქმა უნდა, იმ რესურსს, რომელსაც ხელისუფლება ფლობს, ეს რესურსი თავისუფლად აძლევდა საშუალებას, რომ გიგი უგულავას აელო საშუალოდ ხმების 35%. დანარჩენი 65% უნდა გადანაწილებულიყო ოპოზიციურ კანდიდატებზე. ამ ოპოზიციური კანდიდატების სიმრავლე გათვლილი იყო იმაზე, რომ არც ერთს არ აერო უფრო მეტი, ვიდრე გიგი უგულავა აიღებდა 35%-ს. მაგრამ უგულავას 35% რომ აელო, ყოველთვის ეტყოდნენ, რომ შენ თბილისის მერი არ ხარ უმრავლესობით მოსული. ამიტომ უგულავას 50%-ზე მეტი დაუწერეს. ამდენი მხარდამჭერი ნაციონალურ მოძრაობას და გიგი უგულავას თბილისში რომ არ ეავს, ეს ხომ ფაქტია. პირადად ვიცნობ რამდენიმე ადამიანს, რომელიც ნაციონალებს ვერ იტანენ, მაგრამ როგორც წინა საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ამ ადგილობრივ არჩევნებში იყო დაქირავებული ნაციონალების მიერ და პირნათლად შეასრულა დავალება. იცით რატომ? იმიტომ, რომ ეს ადამიანები არიან გაჭირვებულნი. გაჭირვებულ ადამიანზე საშიში კი არავინაა. გაჭირვებულის ყიდვა ძალიან ადვილია და ძალიან იაფიცაა. ამიტომ ქვეყანაში ყოველთვის უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი გაჭირვებული, რომ ხელისუფლებამ მათი ხმები ადვილად იყიდოს, დააშინოს, გროშები გადაუხადოს და ა.შ. როცა საარჩევნო უბანზე მივედი, დავინახე, რომ უბნის გვერდით იდგა ავტომანქანა, სადაც იყვნენ ნაციონალი აქტივისტები, რომლებსაც ეჭირათ სიები და ამ სიებით აკონტროლებდნენ მიმსვლელ და წამსვლელ ხალხს. მათ წინასწარ იცოდნენ, ვინ იყო ხელისუფლების მხარდამჭერი. იმიტომ, რომ ერთი თვის წინ დადიოდნენ და კითხულობდნენ ვინ იყო უგულავას მხარდამჭერი. ვინც ცოტა მერყევი ნახეს ან ფული შესთავაზეს და პრობლემა მოუგვარეს, ხოლო ის კი მათ მხარდამჭერებში ჩაეწერა. ხალხი, რომელიც ფულის სანაცვლოდ არჩევნებში ხელისუფლებას ეხმარება, ყველაფრის ღირსია.

– გაყალბების ახალი მეთოდი დანერგა ხელისუფლებამ ამ არჩევნებზე?

– მე არ ვიტყვოდი, რომ ეს მეთოდი მაინცდამაინც ახალია. ასეთი რამ ყოველთვის იყო, მაგრამ ეს მასშტაბი გაიზარდა. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს კარგად იქნა შესწავლილი თოთოეულ უბანში მაცხოვრებელი ადამიანის სოციალური მდგომარეობა, მათი ნათესაური კავშირები. ვის ფული უჭირს და ვის ციხეში ყავს ახლობელი. არჩევნებშიც ამაზე იქნა აწყობილი. გაჭირვებული ხალხის მართვა კი, რომელიც მოსახლეობის უმეტესობას შეადგენს, ძალიან ადვილია. ამ არჩევნებზეც ეს მოხდა, მეტი არაფერი. სამწუხაროდ იმ ხალხმა, ვინც ამ ყველაფერს ხელი შეუწყო, ქვეყანას კიდევ ერთხელ დაუკარგა მომავალი – სააკაშვილს თუ აქამდე თბილისი წაგებული ჰქონდა ეხლა მოიგო და ამით ქვეყანაში პოლიტიკური პოზიციები გაიმყარა. ჩვენ კი ამ რეჟიმის პირობებში პრაქტიკულად მომავალი არა გვაქვს. აქ ჩემს პირად მომავალზე კი არა, ქვეყნის მომავალზეა საუბარი. ჩვენ ისევ არ გვეყოლება ხელისუფლება, რომელიც შეძლებს მოსკოვთან ოფიციალურად დალაპარაკებას და საკითხების დარეგულირებას. მოსკოვთან ლაპარაკი კი აუცილებელია. რაც უფრო დიდხანს არ დაელაპარაკება მოსკოვი თბილისს, მით უფრო გაგვირთუდება შემდეგ მომავალში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხების გადაწყვეტა. მე პირადად შინაგანად ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ოპოზიციური ლიდერების ოფიციალურ მოსკოვთან ურთიერთობის. ეს მოხლოდ ქულების ჩაწერაა მომავალი არჩევნებისთვის და არა რეალურად ქვეყნის პრობლემებზე ზრუნვა. რუსეთს უნდა ელაპარაკოს ხელისუფლება. არჩევნების ასეთი შედეგები კი ქვეყანას შანსსაც კი არ უტოვებს ქვეყანას, რომ რამე შეიცვალოს სასიკეთოდ.

– ანუ საგარეო ფაქტორებითაც არ არის მისაღები უგულავას ამ შედეგებით გამარჯვება?

– რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ ამ ეტაპზე უგულავას გამარჯვება ნიშნავს სააკაშვილის ხელისუფლების კიდევ უფრო განმტკიცებას. საზოგადოება კი კიდევ ერთხელ დარჩა უიმედობაში. ყველამ კარგად ვიცით ვინ ელაპარაკება დღეს საქართველოს ხელისუფლებას, ვინ ხვდება და სად ეპატიუებიან სააკაშვილს. 2012-2013 წლამდე ჩვენ ისევ უშანსო ქვეყანად ვრჩებით.

– ეს ოპოზიციის უნიათობის ბრალია?

– აქ ერთმნიშვნელოვანი პასუხი არა მაქვს. ყველაზე იდეალური იქნებოდა ამ არჩევნებში ხელისუფლება მარტო დარჩენილყო, მაგრამ ნუ

დაგვავიწყდება, რომ ხელისუფლებამ შექმნა თავისი ჯიბის ოპოზიცია ქრისტიან-დემოკრატების და დემოკრატების სახით. ისინი ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში, აგრეთვე რამდენიმე ბრიყვიც, რომლებიც ყოველთვის გაამართლებდნენ ამ არჩევნების ვითომდა მრავალპარტიულობას. გია ჭანტურია უკვე გამარჯვება მიულოცა გივი უგულავას. ამით მან დაადასტურა ის, რომ ის მონაწილეობდა არა გასამარჯვებლად, არამედ ამ არჩევნების შედეგების „გასაპრაგებლად“ ნაციონალებისთვის. დავუშვათ ირაკლი ალასანიას და ზვიად ძიძიგურს უარი ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე, გია ჭანტურია და დავით იაკობიძე უარს ხომ არ იტყოდნენ? მოდით დიად ვთქვათ, რა ფუნქცია შეასრულა გოგი თოფაძემ. მან წაიღო ყველა ე.წ. “ჩარეცხილი” მეწარმეების, ყოფილი ქარხნის დირექტორების ხმები. ეს ხმები კი თოფაძე რომ არ ყოფილიყო, ალასანიას იქნებოდა. რა როლი შეასრულა გია ჭანტურია არჩევნებში – მან წაიღო ყოფილი კომკავშირულ-პარტიული ფუნქციონერების ხმები. ასევე ე.წ. “ჩარეცხილი” ხალხის ხმები. (არ მინდა ვინმემ თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს, როცა ტერმინ “ჩარეცხილს” ვხმარობ. მეც მათ რიგს ვაკუთვნებ ჩემს თავს). რომ არ ყოფილიყო ჭანტურია, ეს ხმები იქნებოდა ალასანიასი. რაც შეეხება ზვიად ძიძიგურს, თუ რა როლი შეასრულა მან ამ არჩევნებში, მან წაიღო ყველაზე უფრო რადიკალურად განწყობილი ოპოზიციური ხმები. ეს კანდიდატები რომ არ ყოფილიყვნენ, ეს ხმები იქნებოდა ალასანიას ყულაბაში. ამ შემთხვევაშიც ხელისუფლებამ აჩვენა, რომ თუ 60% არის უგულავასი, ამით ალასანიას შანსი არ დაუტოვა. მაგრამ თოფაძეს, ძიძიგურს და ჭანტურიას მონაწილეობა რომ არ მიეღოთ მერის არჩევნებში, შეიძლება არჩევნებზე უფრო მეტი ხალხიც მისულიყო და ალასანიას გაემარჯვა. დანარჩენ მერობის კანდიდატებს სერიოზულად არც არავინ აღიქვამდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ თითოეულს ერთი პროცენტის აღებაც კი გაუჭირდა.

– თქვენ ხაზი გაუსვით, რომ სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობით ისარგებლა უგულავამ. რატომ ვერ მოხიბლა ჭანტურიას დაბალმა ტარიფებმა ამომრჩევლის ეს კატეგორია?

– იმიტომ, რომ ამ ხალხს დაბალი ტარიფები კი არ აღელვებს, მათ დღესვე უნდათ პურის ფული. ზოგი 20 ლარიანია, ზოგი 100 ლარიანი, იმის მიხედვით ვის როგორ უჭირს. ეს რესურსი არის ხელისუფლების ხელში. ამას ემატება მუქარა სამსახურიდან დათხოვნის და სხვ. ამიტომ ვიძახი, ყველაზე უფრო საშიში საზოგადოებაში არის გაჭირვებული ხალხი.

– რადგან სოციალურად გაჭირვებულები ხელისუფლების პოტენციური მხარდამჭერები არიან, უნდა ვიფიქროთ, რომ ლოზუნგის ქვეშ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“ უგულავა ბევრს არაფერს გააკეთებს, რადგანაც ხმები საპრეზდენტიო არჩევნებისთვისაც სჭირდება?

– იცით რა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია და გასაფუჭებელი კი – არანაკლები. მაგალითად, ის ახალი მონუმენტი, რომელიც გმირთა მოედნის ცენტრში დაიდგა, რომელიც დღისით არის საფრთხობელა. თუ ამას გააკეთება ჰქვია, ასეთი გასაკეთებელი მართლაც ბევრია. იგივე გმირთა მოედანზე ბენდუქიძის სახელით ცნობილი შადრევანი რამდენჯერ გადაკეთდა. მერე სხვაგან წაიდეს. მილიონები ხომ დაიხარჯა, რაში დაიხარჯა, ვინმემ დათვალა? გარწმუნებთ, ამ მემორიალს რამდენიმე თვეში თუ არა, ერთ წელიწადში მაინც დემონტაჟს გაუკეთებს ეს ხელისუფლება. იტალიიდან რომ ჩამოიტანეს ძვირად ღირებული ამწე, რომლითაც მსურველებს თბილისისთვის რიყედან ზემოდან უნდა გადმოეხედათ, სად არის თუ იცით? არადა ეს ყველაფერი სოლიდური თანხები დაჯდა.

– დასავლური პრესა უკვე წერს, რომ ომში დამარცხების შემდგომ სააკაშივილმა არჩევნებში შეძლო ხმების უმრავლესობის მიღება იმ ფონზე, როცა სამი წლის განმავლობაში მის წინააღმდეგ სერიოზული პროტესტი ფიქსირდებოდა.

– თუ დასავლეთი შეგნებით კიდევ მოიტყუებს თავს, რისი ალბათობაც დიდია, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას კიდევ ერთხელ ტოვებენ შანსის გარეშე. ჩვენ ყველამ ხომ კარგად ვიცით, რომ ხელისუფლებას და უგულავას თბილისში 60%-იანი მხარდაჭერა არ აქვს. ისიც კარგად ვიცით, რომ ეს პარლამენტი საზოგადოების რეალურ განწყობას არ ასახავს. ამიტომ თუ დასავლეთი თავს ისევ მოიტყუებს, ჩვენ არანაირი შანსი არ გვრჩება. იმ გამყიდველებმა და იმ გაჭირვებულებმა, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას ვერ იტანენ და გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ ხმა მისცეს ნაცმოძრაობას, მათ კიდევ ერთხელ გაყიდეს სამშობლოს მომავალი.

– გაუჭირდება უგულავას თბილისის მართვა, როცა დედაქალაქი მაინც ოპოზიციურად რჩება?

– რა მნიშვნელობა აქვს უჭერს თუ არა ხალხი მხარს, რაც უნდათ იმას გააკეთებენ. ერთი რამ შემიძლია გითხრათ, უგულავა მაინც მზარდი პიროვნებაა და არ არის ისეთი მარტივი, როგორც ბევრს შეიძლება ეგონოს. უგულავას აქვს პოტენციალი, სურვილის შემთხვევაში სასიკეთო საქმეებიც

გააკეთოს და ხალხის განწყობა შემოირტილოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

– ამ არჩევნებით უგულავამ საპრეზიდენტო სავარძლისთვის გაიხსნა გზა?

– არჩეული მერის ტიტული სერიოზული განაცხადია. მისი გავლენა საპრეზიდენტო არჩევნებზე იქნება ძლიერი.

– გამართლებულია დღევანდელი გადასახედიდან იმ პარტიების პოზიცია, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს? ვგულისხმობ ლეიბორისტებს, ეროვნულ ფორუმს და ბურჯანაძის პარტიას.

– მათ სულაც არ აწყობდათ ალასანიას გამარჯვება. ალასანიას იმიტომ ვიძახი, რომ ამ არჩევნებმაც აჩვენა, რომ ოპოზიციურ ლიდერებს შორის ყველაზე მეტი ხმა მან აიღო. ალასანიას რომ გაემარჯვა, მაშინ ის ხომ პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი გახდებოდა. ამიტომ დღევანდელი შედეგები ლეიბორისტების, ეროვნული ფორუმის და ბურჯანაძის პარტიისთვისაც იდეალური შედეგია, ანუ არ ჩამოყალიბდა არჩევნებში მონაწილე ოპოზიციონერებიდან გამოკვეთილი ლიდერი. მათ ურჩევნიათ უგულავასთან ჰქონდეთ საქმე, ვიდრე ოპოზიციური ტალღით მოსულ ლიდერთან, რომელიც შემდგომ მათთვის იქნება სერიოზული კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებში.

შორენა კოწოწაშვილი